

ქართლის საკათოლიკოსოს მდგომარეობა ოსმალეთის სასულთნოს მიერ  
დაპყრობილ საქართველოს ტერიტორიაზე XVI-XVII ს.ს.

გოდერძი ბოლქვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების  
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და  
ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, ბატონ გიორგი გვალას  
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების  
მაგისტრანტის გოდერძი ბოლქვაძის

### განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გოდერძი ბოლქვაძე

2020

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი, „ქართლის საკათოლიკოსოს მდგომარეობა ოსმალეთის სასულთნოს მიერ დაპყრობილ საქართველოს ტერიტორიაზე XVI-XVII ს.ს.“, წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას წარმოაჩინოს ქართლის საკათოლიკოსოს (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების) და სამცხის ათაბაგების, მოგვიანებით ახალციხის ფაშების, ურთიერთობის რიგი ასპექტები -თუ რა გავლენები ჰქონდა ქართლის კათოლიკოს სამცხე საათაბაგოში და რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც ათაბაგები ცდილობდნენ ქართლის საკათოლიკოსოსგან დამოუკიდებლობის მოპოვებას.

გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ოსმალეთის სულთნებისა და ირანის შაჰების რელიგიური პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ აისახებოდა ქართლის საკათოლიკოსოზე. აგრეთვე, გაანალიზებულია ქართლის კათოლიკოსების და მეფე-ხანების თუ ათაბაგ-ფაშების ურთიერთობები, საქართველოს ეკლესიის და სხვა კონფესიების ურთიერთობა ისტორიულ მესხეთში.

წარმოდგენილია ცნობები, თუ რა ბედი ეწია საქართველოს ეკლესიას და ქართულ ეპარქიებს მასშემდეგ, რაც ოსმალეთის იმპერიამ განახორციელა სამცხე-საათაბაგოსინკორპორაცია და ახალციხის საფაშოდ გადააკეთა.

ნაშრომი წარმოადგენს ოსმალეთის სასულთნოს მიერ XVI-XVII ს.ს.-ში დაპყრობილ სამხრეთ საქართველოში ქართლის საკათოლიკოსოს მდგომარეობის სისტემურ და კომპლექსურ კვლევას და საკითხით დაინტერესებული პირებისთვის იქნება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი.

## Abstract

The master's thesis, "The status of the Catholicos of Kartli on the territory of Georgia conquered by the Ottoman Empire in the XVI-XVII centuries", is a humblest attempt to show the aspects of the relationship between the Catholicos of Kartli (Catholicos-Patriarchs of Eastern Georgia) and Atabags of Samtskhe, later Akhaltsikhe pashas. Particularly, what kind of influences had the Catholicos of Kartli in Samtskhe Saatabago and what was the main reason due to the Atabags were trying to gain an independence from the Catholicos of Kartli.

Additionally, in the thesis author discusses the religious policies of the Ottoman sultans and the Shahs of Iran, which directly affected the Catholicos of Kartli. Also, It is analysed the relations between the Catholicos of Kartli and the kings-khans or Atabag-pashas, the relations between the Georgian Church and other confessions in historical Meskheta.

There is presented an information about the fate of the Georgian Church and Georgian Dioceses after the incorporation the Samtskhe-Saatabago by the Ottoman Empire and the transformation Samtskhe-saatabago as a pashalik of Akhaltsikhe.

The thesis is a systematic and complex study of the status of the Catholicos of Kartli in South Georgia, which was conquered by the Ottoman Empire in the XVI-XVII centuries and it will be an exciting information for people who are interested in the issues.